მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 6 თვის ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

სოციალური და ჯანდაცვის სამსახური უზრუნველყოფს სოციალური და ჯანმრთელობის მუნიციპალიური პროგრამების მართვას და მათ განხორციელებაზე კონტროლს, სამსახური ადმინისტრირებას უწევს 28 ქვეპროგრამას, რომელიც მოიცავს სოციალურ და სამედიცინო მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების თანადაფინანსებას. პროგრამით ძირითადად გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების - მრავაშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, ახალაშობილთა ოჯახების, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, რეგისტრირებულ დევნილთა, დედ-მამით ობოლი ბავშვების, ხანდაზმულ პირთა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური საჭიროებების უზრუნველყოფას, მედიკამენტების ღირებულების დაფარვას და სამედიცინო მომსახურების თანადფინანსებას.

2021 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანმრთელობის დააცვის პროგრამების დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 900 ათასი ლარით. ამ ხარჯებიდან მედიკამენტების ღირებულების დასაფარავად და სოციალური სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებისათვის დაგეგმილია 376.0 ათასი ლარით. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის მიმართულებით 200,200 ათასი ლარი, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დასახმარებლად 155.0 ათასი ლარი, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ პირთა ოჯახებისათვის 21.0 ათასი ლარი.სოციალური პრობემების და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით პროგრამების დაფინანსებისათვის 110.0 ათასი ლარი, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის მიზნით 24.800 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან პროგრამით გათვალისწინებულ ყოველთვიურ ფულად დახმარებას იღებს 62 მრავალშვილიანი ოჯახი, კომუნალური ხარჯების მომსახურებისათვის 18 წლამდე ასაკის 52 შშმ პირი, დედ-მამით ობოლი 2 ბავშვი, განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე 4 და ჰემოფილიით 3 დაავადებული პირი, ხოლო ცილაგამოცილი და იშვიათი დაავადებების მკურნალობას დაქვემდებარებული 6 ბავშვი.

2021 წლის ექვს თვეში აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში დაგეგმილი პროგრამებდან ღონისძიებებზე მიმართული სახსრებიდან ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით ხარჯმა შეადგინა 443.436 ათასი ლარით და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ მიიღო 10.436 ათასი ლარით მეტი მომსახურება. აღნიშნული ხარჯებიდან მოქალაეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და მედიკამენტების ღირებულების დაფარვას მოხმარდა 182.800 ლარი ანუ გეგმის 97.6 %. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური პრობლემების მიმართულები გაიხარჯა 114, 782 ლარი, რაც გეგმის 93,9 პროცენტია. ხარჯი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა 24,812 ათასი ლარით. მრავალშვილიანმა 62 ოჯახმა მიიღო 37,925 ლარით ფულადი დახმარება, ამ მხრივ ფინანსური ხელმისაწვდომობის პრობლემა გაუუმჯობესდა 12 მრავალშვილიან ოჯახს. დიალეზზე მყოფ 22 პირს მგზავრობის ღირებულების დასაფარავად გადაერიცხა 17.780 ლარი, ქვეპროგრამის შესაბამისად ყოველთვიური ფულადი დახმარებით ისარგებლა განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე ოთხმა პირმა, დედ-მამით ობოლი ბავშვის ერთმა ჯახმა, 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა 52 ოჯახმა, ერთჯერადი ფინანსური დახმარებით ისარგებლა ჰემოფილიით დაავადებულმა სამმა პირმა, ახალშობილთა 77

ოჯახმა, უბედურ შემთხვევებსა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალბულმა ოჯახებმა მიიღო 83,460 ათასი ლარის დახმარება. განაცხადის შესაბამისად დაკმაყოფილდა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული ხუთი პირი, რომელსაც გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება. ამის გარდა, პროგრამის ფარგლებში სოციალური პროგრამების გადაწყვეტისა და კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროს განვითარების ხელშეწყობის მიზნით გაიხარჯა 40.768 ლარი, ხოლო გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ქალთა მიმართ ძალადობის ღმოფხვრის ხარჯების მიზნით კი 11 300 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, საანგარიშო პერიოდში მიერ განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები. შესწავლილი იქნა მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მოქალაქეების განცხადებები, მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი პირობები და სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ერთჯერადი ფულადი დახმარების თაობაზე, შესაბამის უწყებას გადაეგზავნა მასალები ეკომიგრანტი ოჯახების თაობაზე და სხვა საკითხები.